ქართული ტერმინთსაცავი

ელექტრონული რესურსები ტერმინოლოგიური კორპუსისათვის

თანამედროვე ქართულ ტერმინოლოგიაში არსებული სირთულეების დაძლევის შესახებ ქართველ მეცნიერთა შორის ორი განსხვავებული თვალსაზრისია: ერთნი ამტკიცებენ, რომ თანამედროვე ტერმინოლოგიურ მოთხოვნებს არსებული ტერმინები ვერ აკმაყოფილებს და გამოსავალს ინგლისურიდან ტერმინების თარგმანში ან სულაც უთარგმნელად გადმოტანაში ხედავენ. მეორენი ტრადიციებზე დაფუძნებული ტერმინთშემოქმედების გაგრძელების მომხრენი არიან. თანამედროვე ტერმინოგრაფია ყველა ქვეყანაში ტრადიციულს აგრძელებს. თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებები ახალ, დამატებით შესაძლებლობებს იძლევა ტერმინოლოგიური ლექსიკოგრაფიის სწორად წარსამართავად. ქართული ტერმინთსაცავი (ტერმინთბანკი, როგორც მას უწოდებენ მრავალ ქვეყანაში) საშუალებას მოგვცემს სრულად ავსახოთ დღემდე არსებული ქართული ტერმინოლოგია და შევუსაბამოთ თანამედროვე სტანდარტებს. ამისათვის უპირველესად მთელი ტერმინოლოგიური მასალის ერთ ბაზაში მოთავსება და მისი შესწავლა-დამუშავებაა აუცილებელი. იგულისხმება თავმოყრა სხვადასხვა დროს გამოცემული ტერმინოლოგიური ლექსიკონებისა: **კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის, ნიადაგმცოდნეობის, ავტოტრაქტორის, აღრიცხვისა და სტატისტიკის, ფიზიკის, ქიმიის, იურიდიული, ელექტროწევის, რადიოელექტრონიკის, ჰიდროტექნიკური, გეოგრაფიის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, სამთო-ტექნიკური, სატყეო-ტექნიკური, ჰიდროტექნიკის, სამრეწველო საწარმოს ორგანიზაციისა და დაგეგმვის, მეფუტკრეობის, ფრინველ-**

თა ნომენკლატურის, მართვის ავტომატიზებული სისტემების, რადიოელექტრონიკის, საზღვაო, გეოფიზიკის, ავტოტრანსპორტის, სამხედრო, სახელმწიფო მმართველობის, ენერგეტიკის, ეკონომიკისა და დემოგრაფიის, პოლიგრაფიული და საგამომცემლო საქმის, ბიოლოგიის, ნავთობისა და გაზის, წყლის რესურსების მართვის, ტექნიკური ტერმინოლოგიის (ყველა რედაქცია) და სხვ. (ასეთი ლექსიკონი 100-ზე მეტია); ამათგან უმეტესობა ორენოვანია, რუსულ-ქართული ან ქართულ-რუსული, ნაწილი – სამენოვანი, ინგლისურ-რუსულ-ქართული.

თანამედროვე ტერმინოლოგია მრავალ ქვეყანაში სწორედ ტერმინთსაცავს ეფუძნება. საქართველოში კი ტერმინოლოგიური ლექსიკონების გაციფრება და მათი დამუშავება მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, როცა 2016 წელს ამ საქმეში თავდაცვის სამინისტრო ჩაერთო და ტერმინთსაცავის შესაქმნელად საგანგებო პროგრამა შექმნა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგებთან ერთად, 2017 წელს კი ამ საქმეს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკაც შემოუერთდა. ციფრულ ბიბლიოთეკაში შეიქმნა საგანგებო გვერდი, რომელზეც ენათმეცნიერების ინსტიტუტში სხვადასხვა დროს მომზადებული ტერმინოლოგიური ლექსიკონები თავსდება, ენათმეცნიერების ინსტიტუტში კი უკვე დაიწყო ამ ელექტრონული რესურსების დამუშავება ქართული ტერმინოლოგიის კორპუსისათვის.

ელექტრონული ბაზები, უპირველესად, საშუალებას გვაძლევს დავანაწილოთ ლექსიკონები წლების მიხედვით. ამჟამად ჩვენს ტერმინთსაცავში ოთხი განსხვავებული რედაქციის ტექნიკური ტერმინოლოგიაა შესული:

1. 1920 წლის რუსულ–ქართული, საქართველოს ტექნიკური საზოგადოების სატერმინო სექციის მიერ მომზადებული. საბჭოთა ეპოქაში ეს და 1921 წელს იმავე ჯგუფის მიერ გამოცემული ტექნიკური ლექსიკონი ხმარებიდან ამოიღეს.
2. 1935 წლის ტექნიკური ტერმინოლოგია ვუკოლ ბერიძის რედაქციით;
3. 1977 წლისა, როგნედა ღამბაშიძისა და რაფიელ დვალის საერთო რედაქციით.

4. ე. წ. ღამბაშიძის ფონდი. როგნედა ღამბაშიძის რედაქციით 90-იანი წლების დასაწყისში დასრულდა ტექნიკური ტერმინოლოგიის ახალი რედაქცია. სამწუხაროდ, მისი გამოცემა 90-იან წლებში ვერ მოხერხდა. ახლა კი მისი უახლესი რედაქცია-შევსება მიმდინარეობს. ტექნიკური ტერმინოლოგიის ბოლო, გამოუქვეყნებელი ლექსიკონის მასალები სამენოვანია, ფონდის მასალას ასევე მიწერილი აქვს დარგები. რა თქმა უნდა, აქ შეგვიძლია მასალის დაჯგუფება დარგების მიხედვით.

მნიშვნელოვანია ამ ლექსიკონების ერთმანეთთან დაკავშირება. ამისათვის დიდი სამუშაოა ჩასატარებელი, დასადგენია **სინონიმები** ერთი თუ სხვადასხვა ლექსიკონის ფარგლებში. უმნიშვნელოვანესია, თავი მოეყაროს ერთი ცნების აღმნიშვნელ ყველა ტერმინს. უკვე დამუშავებული მასალა ასე გამოიყურება:

1. **აბერაცია:** 1920 წელს შეესატყვისება **სხივთაბნევა**, 1935 წლიდან კი – ყველგან **აბერაციაა**;

2. აბსორბცია: 1920 წელს **შთანთქმა** ეწოდებოდა; 1935 წელს – **აბსორბცია** და **შთანთქმა**; 1977 წელს **შთანთქმა** არსად ჩანს, „ღამბაშიძის ფონდში“ (1993 წ.) კი ისევ ჩნდება აბსორბციის სინონიმად, ეს კი იმას ნიშნავს, რომ **შთანთქმის** აღდგენა იყო დაგეგმილი;

3. აბსორბერი: 1920 წელი – **შთანთქმი**, 1935 წელი – **შთანთქმელი**, 1977 წელი – **აბსორბერი;**

4. გონიომეტრი: 1920 წელი – **კუთხზომი**, 1935 წელი – **კუთხემზომია**, 1977 წელი – **გონიომეტრი**;

5. ავიატორს 1920 წის ტექნიკურ ტერმინოლოგიაში **ფრენოსანი** ეწოდებოდა, 1935 წლიდან **ავიატორი** უთარგმნელად გადმოიტანეს;

6. ბუქსირს 1920 წლისაში **მათრევი** შეესატყვისება;

7. ვენტილატორს - **სანიავო**, **ვენტილაციას** – **ნიავება;**

8. ვენტილი 1920 წლისაში **ხრახნმცობია**, 1935 წლისაში - **ვენტილი** და **ხრახნსაცობი**, 1977 წლისაში – **ვენტილი**;

9. 1977 წლის გამოცემაში: **ანენომეტრის** გვერდით ქართული ტერმინიცაა – **ქარსაზომი,** 1935 წელს – **ქარმზომია,** 1920 წლისაში – **ქარზომი.**

ამ მაგალითებითაც ნათლად ჩანს, რომ საბჭოთა პერიოდამდელ ლექსიკონებში ქართული ტერმინები გამოიყენებოდა, შემდეგ კი ისინი უცხო სიტყვებმა ჩაანაცვლა.

ამ ტერმინებიდან რომელს შევიტანთ თანამედროვე ნორმატიულ ლექსიკონში, რა თქმა უნდა, სპეციალისტებისა და შესაბამისი კომისიის გადასაწყვეტია. ამ პროგრამით, ამ ტერმინოლოგიური ბაზებით კი, ცხადია, გაცილებით გამარტივდება მეცნიერულად გამართული ნორმატიული ტერმინების დადგენა ყველა დარგისათვის. როგორც ვხედავთ, სარედაქციო ჯგუფს ექნება გამზადებული მასალა და მათ უნდა გადაწყვიტონ, მაგალითად, ამ ოთხი დადასტურებული ტერმინიდან **ქარსაზომი** უნდა დარჩეს, **ქარმზომი, ქარზომი** თუ საერთოდაც – **ანენომეტრი**. ქართული ტერმინთსაცავი საშუალებას გვაძლევს, შევქმნათ თითოეული ტერმინის ისტორია.

ერთ-ერთი სირთულე, რომელიც ტექნიკური ტერმინოლოგიის უახლესი რედაქციისას დგას, **სინონიმიაა.** სინონიმია, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, გარკვეულწილად, საბჭოთა პერიოდის ენობრივი პოლიტიკით იყო გამოწვეული. სწორედ ამ ეპოქის მემკვიდრეობაა ორი ტერმინი ერთი ცნებისთვის: ერთი ქართული, ერთიც – უცხოური, მაგრამ დღეს სწორედ ისტორიის შესწავლითა და გათვალისწინებით განსხვავებული გადაწყვეტილება გვაქვს მისაღები. ცხადია, სინონიმია უნდა დაიძლიოს, მაგრამ როგორ? დარჩეს მხოლოდ ქართული ტერმინი თუ მხოლოდ უცხო. მაგალითად: **დევიაცია** თუ **გადახრა**, **დეჰიდრატაცია** თუ **გაუწყლოება**, **დეგომაცია** თუ **გაუწებურება**, **დინამომეტრი** თუ **ძალსაზომი**, **გალვანომეტრი** თუ **დენსაზომი** და სხვ. **გაზისა** და **აირის** შემთხვევაში ამ სირთულის დაძლევა, ვფიქრობთ, შეუძლებელი იქნება, რადგან ორივე სიტყვა თითქმის ერთნაირადაა დამკვიდრებული. ცხადია, ტექნიკური ტერმინოლოგიის ახალმა რედაქციამ ახალი ხედვა უნდა წარმოადგინოს.

ცხადია, გავითვალისწინეთ **განმარტებებიც**, გარკვეული ტერმინით აღნიშნული ცნების სწორად განმარტებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტერმინის დასადგენად. ტექნიკურ ტერმინთა განმარტებით ლექსიკონზე მუშაობა რთულია, რადგან, როგორც აღმოჩნდა, ერთი და იმავე ტერმინით აღნიშნული ცნება განსხვავე-

ბულადაა განმარტებული სხვადასხვა სახელმძღვანელოსა თუ სამეცნიერო სტატიაში. ვფიქრობთ, ეს სირთულეს შეუქმნის განმარტებით ლექსიკონზე მომუშავე ჯგუფსაც, რომლის წევრები, უმეტესად, სწორედ ამ ლიტერატურაში გამოყენებულ განმარტებებს ეყრდნობიან. ევროსტანდარტების შესაბამისი ტერმინოლოგიის დადგენა სწორედ ცნების ზუსტ განსაზღვრას ეყრდნობა, შესაბამისად, ამ ბაზებში ტერმინთა ნორმატიული, სპეციალისტთა მიერ დადგენილი და სხვა ენათა მონაცემზე დაფუძნებული განსაზღვრებები უნდა აისახოს.

უმნიშვნელოვანესია **ტერმინთმაწარმოებლების** გამოყოფა. ყველა ფორმის გასაანალიზებლად და მომდევნო ეტაპზე გადასასვლელად (მომდევნო ეტაპი კი გულისხმობს დარგის სპეციალისტებისათვის მასალის სარედაქციოდ გადაცემასა და მათთან ერთად კომისიის მუშაობას) აუცილებლობად მივიჩნიეთ ტექნიკური ლექსიკონის ყველა გამოცემის თავმოყრა. ძალიან ხშირად ნებისმიერ საკითხზე მუშაობისას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განვიხილავთ ყველა ტექნიკურ ტერმინოლოგიურ ლექსიკონს. მაგალითად, ერთ–ერთი ასეთი სადავო საკითხი რამდენიმე ხნის წინ გახდა *მეტრი//საზომი//მზომით* ნაწარმოები ტერმინები. სურათი ასეთია:

1920	**1935**	**1977**
-ზომი	*მ-ზომი*	*სა-ზომი*
ქარ-ზომი	ქარ-მ-ზომი	ქარ-სა-ზომი
ამპერ-ზომი	ამპერ-მ-ზომი	ამპერ-სა-ზომი

ქართული ტერმინთშემოქმედების სხვადასხვა პერიოდში განსხვავებულია სიტყვათწარმოებისადმი მიდგომაც. 1920 წლის ტექნიკური ტერმინოლოგიის შესავალში ვკითხულობთ: „ყოველი თავსართი შევამოკლეთ ან სულ მოვსპეთ; ასე რომ, ხშირად თითქმის ცარიელი ფესვი დაგვრჩა, მაგალითად „დამხმარეს“ ან „შემწეს“ მაგიერ პირდაპირ **მწე** დავარქვით. ტოკს „ჩქერისა“ და „ნაკადის“ მაგიერ **დენი** დავარქვით“. ასე დატოვეს სითბოსაგან მხოლოდ **თბო**, საწნეხელისაგან – **წნე**. მეტრს ზომი შეუსატყვისეს და არა მზომი: *ქარზომი, დენზომი* და სხვა. 1935 წლის გამოცემაში აღდგა მიმღეობის მაწარმოებელი. 1977 წელს კი **სა** თავსართით ტერ-

მინთწარმოებას მიეცა უპირატესობა (ქართული ტერმინთსაცავი, 2018).

მასალის დამუშავება საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ყველა მაწარმოებელი და ამ თვალსაზრისით შევისწავლოთ ერთი და იმავე დარგის, მაგალითად, ეკონომიკის, მედიცინისა თუ, ზოგადად, ტექნიკური ტერმინოლოგიის, მაწარმოებლები სხვადასხვა რედაქციის მიხედვით, მაგალითად:

-ობა ბოლოსართით ნაწარმოები ტერმინები: დაბრეცილობა, გამავლობა...

-ად ბოლოსართით ნაწარმოები ტერმინები: კლებადი, ანთებადი, მილევადი, აალებადი...

-ობ ბოლოსართით ნაწარმოები ტერმინები: მართობი, მლაშობი, თანობი, ვიწრობი, ქანობი...

ბოლოსართი **-ედ:** განედი, ფართედი, ჯვარედი, თაღედი...

ბოლოსართი**-აკ**: ღილაკი, ლილვაკი, კბილაკი, ნაწილაკი, ავზაკი, ღარაკი...

ბოლოსართი **-იანა:** ფრთიანა, პეწიანა, კუდფეხიანა, ფარიანა...

ბოლოსართი **- ოვან-ა:** წებოვანა, ფრთოვანა, ნისლოვანა...

ბოლოსართი **-ოსან-ა:** ჯვაროსანა, ფაროსანა, ფრაკოსანა...

ბოლოსართი **-ურ//ულ-ა:** სანთურა, ბადურა, ღობურა, საკვეთურა...

თავსართი **-გან:** განჟაგვა, განწებება, განხრახვნა, განმუხრუჭება...

თავსართ-ბოლოსართი **-სი-ე:** სიმძიმე, სიბრტყე, სივრცე....

გამოიყოფა არამხოლოდ თავსართ-ბოლოსართები, არამედ თავსართისებრი და ბოლოსართისებრი მაწარმოებლები, ანუ პრეფიქსოიდები და სუფიქსოიდები.

გამოვყოფთ სიტყვებს **აგებულების** მიხედვითაც, მაგალითად, შეგვიძლია მოვძებნოთ მასალაში **მარტივი ქართული** ან **მარტივი უცხო ტერმინები** და ასევე:

რთული უცხო წარმომავლობისა, მაგალითად: *ალუმინთერა*- პია, *ალუმინკარბიდი, ასტროფოტომეტრია, ბენზინქლორიდი* და სხვ.

რთული ქართული წარმომავლობისა, მაგალითად: *აგურფხვნილი, არხსავსები, აბრეშუმსახვევი, ძაფსახვევი, ბაგირგვარლი, აღალთსაშენი* და სხვ.

რთული შერეული, მაგალითად: *ავიასაბურავი, ალფანაწილაკები, აპარატმშენებლობა* და სხვ.

მნიშვნელოვანია ტერმინის **ისტორიაც**, რომელიც კონკრეტულ სიტყვასთანაა დაკავშირებული. ქართულ ტერმინთსაცავში უკვე რამდენიმე სიტყვის ისტორია აისახა, მაგალითად, *მათემატიკური ტერმინი განტოლება ნიკო მუსხელიშვილის შემოღებული ტერმინია. მან თავდაპირველად გატოლება ფორმა შემოიღო, შემდგომში მანვე გიორგი ახვლედიანის წინადადებით, გა- ზმნისწინის ძველი ფორმა აღადგინა და დღევანდელი განტოლება მივიღეთ* (ღამბაშიძე, 1985: 139). როგორც ვხედავთ, სიტყვის ისტორიას მიეთითითება წყაროც, რომლის სრულ დასახელებას ბიბლიოგრაფიაში ვიპოვით.

ასანთი ალექსანდრე ჯანელიძის მიერაა შექმნილი (ღამბაშიძე, 1985: 139). *ქურო რაფიელ ერისთავის მიერ შემოღებული ტერმინია* (იორდანიშვილი, 2013: 151).

ისტორიისათვის ასევე მნიშვნელოვანია უკვე არსებული **გამოკვლევების, ოქმებისა თუ მოგონებების** ასახვა კონკრეტულ ტერმინთან დაკავშირებით. მაგალითად, ტერმინი *მეკლდეური*, როგორც მასალებიდან, კერძოდ, ლელოს 1970 წლის 15 ნოემბრის ნომრიდან, ირკვევა, ნიკო კეცხოველის ტერმინი ყოფილა. აქ სხვადასხვა ავტორის მიერ რამდენიმე ვარიანტია შემოთავაზებული: *კლდელაშქრობა, კლდემოლაშქრე, კლდემლახველი, კლდეთამძლე.* ნიკო კეცხოველის ყველაზე მცირე თვალსაზრისი ასე იწყება: „ამას წინათ გამოვიდა პროფ. პ. ხუბუტიას შრომა „თუშური კილო“. ამ წიგნის ლექსიკონში არის ერთი სიტყვა მეკდეურადი – კლდეებში კარგად მოსიარულე საქონელი. თუშები კლდეს ხშირად „კილდეს“ ან კლდეს უწოდებენ, იქნებ „კლდეზე მცოცავის“ ნაცვლად გამოდგეს მეკდეური – კლდეებში და კლდეში კარგად მოსიარულე. შემდეგ ამატებს: ნუ შეგვაშინებს განმარტებაში საქონელი, თუშეთში ოთხჯერ ვიყავ და ჩვენ შესახებაც ამბობდნენ: მებალახენი, მეკდეურებიო“.

ბაზებში ისახება ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაცული უნიკალური ხელნაწერი ოქმები და ჩანაწერები, რომლებშიც შემონახულია ქართული ტერმინოლოგიის ერთი მნიშვნელოვანი პერიოდის ისტორია[1].

ოქმებსა თუ გამოუქვეყნებელ ფონდებში ძიება სხვადასხვა მოთხოვნის მიხედვითაა შესაძლებელი, მაგალითად, იმ სხდომათა ოქმები, რომლებსაც ესწრებოდა არნოლდ ჩიქობავა ან ქეთევან ლომთათიძე. ოქმები ამ თვალსაზრისით დასამუშავებელი და შესასწავლია.

ტექნიკური ტერმინოლოგიის რედაქციაზე მუშაობისას ყველა შესატყვისი ტერმინის თავმოყრის გარდა, უმნიშვნელოვანესია ის **შენიშვნებ**ი, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოუთქვამთ. განყოფილებაში ინახება ტექნიკური ტერმინოლოგიის წიგნი როგნედა ღამბაშიძის შენიშვნებით. მაგალითად, *ბუნიკს ქუსლი* უწერია. *ელექტროძალოვან ბლოკს – ელექტრული ბლოკი, დიდჩქარული – დიდსიჩქარიანი, უჟანგი – უჟანგავი* და სხვ.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ლია სუთიძე *გაგირების დამარაგების* ნაცვლად გვთავაზობს *გაგირების გადახვევას. დომკრატის* ნაცვლად – ტერმინებს: *საწევარი* ან *ამწევი.* ბაზების შენიშვნებში იწერება ყველა სპეციალისტის მიერ, თუნდაც კერძო საუბრისას, გამოთქმული ნებისმიერი თვალსაზრისი. სპეციალისტების შენიშვნებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტერმინთა რედაქციაზე მუშაობისას.

უმნიშვნელოვანესია **ბიბლიოგრაფიის** სწორად ასახვა ტერმინთსაცავში, რათა საბოლოოდ თავი მოეყაროს სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სტატიებსა თუ ლექსიკონებს. ეს, მოგეხსენებათ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ტერმინოლოგიური ბაზების შესაქმნელად. ტერმინოლოგიური ბიბლიოგრაფია, გარკვეულწილად, დამუშავებულია

---

[1] სამეცნიერო ტერმინოლოგიის ერთ-ერთი დაუფინანსებელი პროექტი „ქართული ტერმინოლოგიის ისტორია“ სწორედ ამ არქივისა და ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული მნიშვნელოვანი ტერმინოლოგიური მასალის შესწავლასა და გაციფრებას ვარაუდობდა. ამჯერად ამ მასალაზე მუშაობს ახალგაზრდა მკვლევარი ანა ხურცილავა.

სხვადასხვა მკვლევრის მიერ. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ვეყრდნობით არსებულ ლიტერატურას და ამასთანავე ბიბლიოგრაფიის შევსება გრძელდება. აქაც ძიება, რა თქმა უნდა, სხვადასხვა მოთხოვნითაა შესაძლებელი: ავტორით, სახელწოდებით, წლებით, დარგით.

ასევე მნიშვნელოვანია **არასალიტერატურო ენის მონაცემებთა** ასახვა ქართულ ტერმინთსაცავში. დიალექტური მასალების შესახებ როგნედა ღამბაშიძე წერდა: დიალექტური მასალების გამოყენებას ტერმინოლოგიური მიზნებისათვის ხელს უწყობს ა) მრავალრიცხოვანი დიალექტური და დარგობრივი ლექსიკონები, რომლებიც შედგენილია ქართველი მკვლევრების მიერ სხვადასხვა დროს და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში; ბ) შინამრეწველობის მასალები, რომლებიც შეკრებილი იყო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში აკად. ივ. ჯავახიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით; გ) ალ. მაყაშვილის მიერ შედგენილი ბოტანიკური ლექსიკონი; დ) ეთნოგრაფების მასალა.

ქართული ენის არასალიტერატურო ფონდის მასალის გამოყენება გააქტიურდება, თუ ერთხელაც შეიქმნება ისეთი ბაზები, რომლებშიც დარგობრივი ლექსიკა მუდამ თავიდან საკვლევი და მოსაძებნი არ იქნება. ამ მასალის ელექტრონულ ბაზებში ასახვა უმნიშვნელოვანესია ქართული ტერმინოლოგიის მომავლისათვის.

რას გვაძლევს ტერმინთა ყველა შესატყვისის დადგენა? ერთი, რომ ეს ისტორიაა, რომელსაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეყაროს თავი და ასრულდეს სხვადასხვა ეპოქის საზოგადო მოღვაწეთა სურვილი – ვიცოდეთ, რა მარაგი აქვს ქართულ ენას. იმავე საქმეს ივანე ჯავახიშვილი მარტო შეუდგა და თავად ამოწერა უამრავი მასალა დარგების მიხედვით და მეორეც: ამ თავმოყრილ და გაანალიზებულ მასალაზე, ქართულ ტერმინთსაცავზე დაყრდნობით გაადვილდება და მოწესრიგდება ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში (ქართული ტერმინთსაცავი, 2018).